თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 2020 წლის 27 მაისი

**თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ტულიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდა:** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე.**

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი

**მოისმინეს** 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს: გიორგი თავზერიძემ** აღნიშნა, რომ ნუსხაში შეტანილი მიწის პრივატიზების შემთხვევაში გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავალი და მოხდება მიწის გამოყენების ეფექტურობის ზრდა.

**ვასილ არაბულმა** დააყენა წინადადება წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

**ვასილ არაბულის** წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოისმინეს 2.** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს: ზურაბ ნაცარაშვილმა** აღნიშნა, რომ წინააღმდეგია სოფ. რუისპირში მდებარე მიწების საპრივატიზაციო გეგმაში შეტანის, ვინაიდან ამ მიწებს მოსახლეობა იყენებს საძოვრად.

**ლევან ლილუაშვილმა** აღნიშნა, რომ ეს მიწები არის სახნავი კატეგორიის მიწები და არა საძოვარი, ამდენად მიზანშეწონილია მათი საპრივატიზებო გეგმაში შეტანა და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

საკითხი დაყენებული იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგად პრივატიზაციის წინააღმდეგი იყო **ზურაბ ნაცარაშვილი** და **ალექსი მჟულიაშვილი**, მხარი დაუჭირა ექვსმა კომისიის წევრმა.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი